ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 357

6 აგვისტო
"---"-------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გორგასლის ქუჩა №28 (ნაკვეთი №135/9)-ში (საკადასტრო კოდები: №01.20.01.135.009.01.500; №01.20.01.135.009.01.501; №01.20.01.135.009.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გორგასლის ქუჩა №28 (ნაკვეთი №135/9)-ში (საკადასტრო კოდები: №01.20.01.135.009.01.500; №01.20.01.135.009.01.501; №01.20.01.135.009.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 ივლისის №21.1030.1125 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა გორგასალი, №28, (ნაკვეთი №135/9)-ში, პირველ სართულზე მდებარე 85.56 კვ.მ. (ს/კ. №01.20.01.135.009.01.500), მე-2 სართულზე მდებარე 84.19 კვ.მ. (ს/კ. №01.20.01.135.009.01.501) და 87.60 კვ.მ. ნახევარსარდაფის (ს/კ. №01.20.01.135.009.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე მანანა კვესელავასთვის (პ/ნ. 01017038840) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება ერთის თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე